ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

2. ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის №05 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს
კომისიის სხდომის
ოქმიN2

ქ.ქობულეთი 19 ოქტომბერი 2018 წელი
სხდომა დაიწყო: 11-00 საათზე
დამთავრდა: 12-00 საათზე
სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი;
სხდომას ესწრებოდა: ლელა ვერულიძე, დავით მჭედლიშვილი, მამია ჟორდანია, ავთანდილ ანანიძე, იოსებ ჟღენტი, ნარგიზ რომანაძე, ქეთინო ქათამაძე, ნაილე ლაზიშვილი, რომან მოწყობილი, პაატა ცინარიძე, გიორგი ტაბიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: ნათია თხილაიშვილი, გიორგი გოგიტიძე, დავით წულუკიძე, ვაჟა შავიშვილი,ვიტალი ქარცივაძე, გურამ აბაშიძე, გია მჟავანაძე, ნინო თურმანიძე, მაია მგელაძე-ცქიტიშვილი;
სხდომას ესწრებოდნენ: ა(ა)იპ ,,ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად" თავმჯდომარე - ნარგიზ ჯინჭარაძე; ა(ა)იპ ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია ,,ღირსეული სიბერე" აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე - ნანა კალანდაძე;
სხდომას ესწრებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი საკითხები.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

2. ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ"ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის №05 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;
(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე მოხსენება გააკეთა ლია შაქარიშვილმა რომელმაც აღნიშნა, რომ ქალთა საინფორმაციო ცენტრისგან მოწოდებულია რეკომენდაცია, მოხდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმის გრძელვადიან პერიოდზე გაწერა, რომელიც მოიცავს 2018-2019 წლეებს, ასევე გეგმა მოიცავს შინაარსობრივ ნაწილში სათაურში ცვლილებას,კერძოდ: გეგმის სახელწოდება ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის გეგმა" შეიცვალა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმით. ცვლილება სახელწოდებაში იწვევს შინაარსობრივ ცვლილებასაც, რადგან აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას მთელი მუნიციპალიტეტისთვის და არა მხოლოდ საკრებულოსთვის. გეგმის დამტკიცების შემდეგ მოხდება გადაგზავნა აღმასრულებელ ორგანოში შესაბამისად სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელდება საქმიანობა მუნიციპალიტეტში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

2. ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ"ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის №05 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე - ლია შაქარიშვილმა აღნიშნა,რომ რეკომენდაცია იყო, საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შექმნისა და დებულების დამტკიცება მოხდა განკარგულებით, საჭიროა მოხდეს შეცვლა დადგენილებით, ფართო სპექტრზე იყო გათვლილი და ამიტომ მოხდა განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება. რადგან მოქმედების არეალი არის უფრო მაღალი. ყველას ექნება საშუალება იხილოს თვალსაჩინოდ დადგენილების სახით შესაბამის ვებ-გვერდზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე - ლია შაქარიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ზოგადი დებულებანი, ძირითადი ამოცანები და სტრუქტურა. ასევე გააცნო განახლებული საბჭოს შემადგენლობა, მასში შევიდნენ ქობულეთში, ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. გენდერული თანასწორობის ახალი წევრები არიან: ნარგიზ ჯინჭარაძე- ა(ა)იპ „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად“ თავმჯდომარე, უმცირესობის საკითხთა ექსპერტი, ნანა კალანდაძე- ა(ა)იპ ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს სტრუქტურას დაემატა გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის ფუნქცია. მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ორგანიზებას და საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას. აღნიშნულ პოზიციაზე არჩეულ იქნა რომან მოწყობილი.საბჭოს სხდომა ტარდება 3 თვეში ერთხელ. თუმცა შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარის ინიციატივით საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლ. შაქარიშვილი